

№3- 81

19.09.2017

სურსათის ეროვნული სააგენტოს  
უფროსს  
ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

მადლობას მოგახსენებთ ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად (წერილი N 09/8813) სახელმწიფო კონტროლის 2017 წლის ივნის-აგვისტოს შედეგების გამოქვეყნებისათვის. თუმცა, მოცემული ინფორმაცია სრულად არ ასახავს ჩვენს მიერ გამოთხოვილ მონაცემებს, კერძოდ,

- არ არის მონაცემები იმის თაობაზე, თუ რომელ საწარმოებში დაფიქსირდა არაკრიტიკული შეუსაბამობები.
- რეგიონული საწარმოების სიაში, რომლებსაც დოკუმენტური შემოწმება ჩაუტარდათ, ასევე, თბილისში ინსპექტირებული საწარმოების სიაში, საწარმოთა მისამართები, ბევრ შემთხვევაში, არ არის მითითებული.

გთხოვთ ზემოაღნიშნული ხარვეზები გამოასწოროთ.

გარდა ამისა, გთხოვთ გვაცნობოთ მოხდა თუ არა მოსახლეობის ინფორმირება გამოვლენილ მავნე პროდუქტებთან დაკავშირებით და შესაბამისი მასალები მოგვაწოდოთ, ესენია:

1. პესტიციდი უნივერსალი, სფ, სარეალიზაციო ობიექტი, შპს ახალი ფერმერი XXI, ამბროლაური, აღმაშენებლის 24.
2. პესტიციდი-ბინგო 40 ეკ, ზუგდიდი, სარეალიზაციო ობიექტი, შპს კარტლის აგროსისტემები.
3. ვეტერინარული პრეპარატი „შხამას ნაყენი“.
4. ვეტერინარული პრეპარატი „ალბენდაზოლ 600“ ბოლუსები.
5. ფრინველის გაყინული ხორცი, იმპორტიორი შპს "დიმკა" ს/კ 245442944, წარმოებულია თურქეთში, პარტია 01.06.2017 წ "bapiliq".
6. ნედლი რძე, მწარმოებელი შპს „ჯორჯიან ბიზნეს ზონ“.
7. ნედლი რძე, მწარმოებელი გიორგი შანიძის ფერმა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ გუმბრა.
8. მხოლოდ მცენარეულ ცხიმზე დამზადებული რძის შემცველი პროდუქტი (3 ერთეული), შ.პ.ს. „ათინათი“, ქუთაისი, სულხან-საბას 14, 15, 16.



მომსახურებელი.გე

www.moxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს



თუკი ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქტებთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირება არ მომხდარა, გთხოვთ განგვიმარტოთ ამის მიზეზები.

გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე [vakhtang@csrdg.ge](mailto:vakhtang@csrdg.ge).

პატივისცემით,



ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი